


ბანერისა და პროფილის სურათების მომზადება.


ბანერისა და საიმიჯო სურათები უნდა აკმაყოფილებდნენ გარკვეულ ტექნიკურ პარამეტრებს: სიგრძე, სიმაღლე, რეზოლუცია. არსებული სურათის საჭირო პარამეტრებზე დასაყვანად შესაძლებელია გამოვიყენოთ სხვადასხვა როგორც ფოტო რედაქტორი პროგრამები (photoshop, corel paint, paint და სხვა), ისე ინტერნეტ რესურსები, როგორცაა მაგალითად <https://www.befunky.com/features/crop-photo/>

განვიხილოთ სიახლის საიმიჯო სურათის მომზადება, რომლის ზომებიც უნდა იყოს 250x250 px.


1. ჩაწერეთ ინტერნეტ ბროუზერი პროგრამის სამისამართო ველში <https://www.befunky.com/features/crop-photo/> და დააწექით ღილაკს Enter. ჩაიტვირთება ვებ გვერდი:




2. თავუნას კურსორი მიიყვანეთ ღილაკთან GET STARTED და დააწექით მარცხენა ღილაკს.




3. ჩაიტვირთება ახალი გვერდი. თუ ეკრანზე მიიღებთ შეტყობინებას, მაშინ მიიყვანეთ თავუნას კურსორი ღილაკზე "START NEW" და დააწექით მარცხენა ღილაკს




4. ჩაიტვირთება ახალი გვერდი:




5. მიიყვანეთ თაგუნას კურსორი ავტომობილის სურათის ზემოთ მოცემულ ღილაკზე OPEN და დააწექით მარცხენა ღილაკს. ჩამოიშლება მენიუ, რომლიდანაც თაგუნას მარცხენა ღილაკით აირჩიეთ Computer და კვლავ დააწექით მარცხენა ღილაკს:




6. გაიხსნება ფაილის არჩევის ფანჯარა. მოძებნეთ კომპიუტერში თქვენი საიმჯო სურათი და აირჩიეთ. თუ მიიღებთ შეტყობინებას, აირჩიეთ YES.




7. თქვენს მიერ არჩეული ფოტო ჩაიტვირთება ეკრანზე.




8. სურათის მარცხნივ მოცემული ბრძანებების ნაკრებიდან აირჩიეთ “Crop”.




9. ჩაიტვირთება ახალი ფანჯარა, რომლის მარცხენა მხარეს გამოჩნდება რედაქტირების პარამეტრების ველები (სიგანე - Width და სიმაღლე height). ხოლო სურათზე გამოჩნდება ბაცი მართკუთხედი.





10. ჩაწერეთ სასურველი სიგრძისა და სიმაღლის შესაბამისი რიცხვები (მაგ. 250 და 250). ბაცი მართკუთხედი შეიცვლის ზომებს (250x250). მართკუთხედი გვიჩვენებს, თუ რა ნაწილები ჩამოეჭრება სურათს (ეკრანზე გაბაცებული ფერით ჩანს)




11. თუ თქვენთვის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოჭრის ზოლშია (ბაცი მართკუთხედის გარეთაა), მაშინ შეიყვანეთ თაგუნას კურსორი ბაცი სამკუთხედის შიგნით, დააწეით მარცხენა ღილაკს და თითის აუღებლად გადაადგილეთ თაგუნა სასურველი მიმართულებით. სასურველი ნაწილის მონიშვნის შემდეგ აიღეთ თითი მარცხენა ღულაკიდან.




12. გააქტიურეთ ბრძანება 



13. სურათს ჩამოეჭრება მითითებული ველები.




14. შეინახეთ მიღებული სურათი. ამისათვის მიიყვანეთ კურსორი სურათის თავზე მოცემულ ბრძანებასთან Save. დააწექით თავუნას მარცხენა ღილაკს და აირჩიეთ Computer.




15. ეკრანზე გამოვა ახალი ფანჯარა. დაარქვით ფაილს სახელი და ჩაწერეთ ველში Filename.

შეგიძლიათ შეცვალოთ ფაილის ფორმატი JPG-დან PNG-ში გადამრთველით. ასევე შეგიძლიათ ცვალოთ ფაილის ზომა სელექტორის size მარცხნივ ან მარჯვნივ გაცურებით. ეცადეთ იპოვოთ „ოქროს შუალედი“ - რაც შეიძლება პატარა ზომის ფაილი მისაღები ხარისხით. შერჩევის დასრულების შემდეგ გააქტიურეთ ბრძანება Save.



16. დაეთანხმეთ შენახვას.



ხშირად ჩამოსაჭრელად გამიზნული სურათი დიდი ზომისაა და ჩამოჭრის შემდეგ პროფილის სურათი ძალიან პატარა გამოდის. ასეთ შემთხვევაში პირველ რიგში უნდა შევცვალოთ ორიგინალური სურათის ზომები, რომელიც ასევე შეიძლება გავაკეთოთ ზემოთაღნიშნულ ვებ გვერდის საშუალებით.

სურათი შეიძლება იყოს ვერტიკალური ან ჰორიზონტალური.




shutterstock.com • 608671094


ჰორიზონტალური სურათი




ვერტიკალური სურათი

თუ გვინდა რომ პროფილის სურათი მოიცავდეს ორიგინალური სურათის მაქსიმალურად დიდ ნაწილს, მაშინ მისი ყველაზე პატარა პარამეტრი (ჰორიზონტალური სურათისათვის სიმაღლე, ხოლო ვერტიკალური სურათისათვის - სიგანე) უნდა დაიყვანოთ მიზნობრივ ზომამდე.







16. სურათის ზომების შეცვლისათვის მიყევით ზემოთ მოცემულ ინსტრუქციის 1-7 პუნქტებს. სურათის ჩატვირთვის შემდეგ მენიუდან აირჩიეთ ბრძანება **“Resize”**





17. ჩაიტვირთება ახალი ფანჯარა:



18. მარცხენა პანელზე მოცემულია ზურათის ზომები პიქსელებში. შევცვალოთ მათგან უმცირესი ჩვენთვის სასურველ ზომამდე. მაგალითად 666px დავიყვანოთ 250px-მდე. ყურადღება მიაქციეთ მონიშვნას **“Lock Aspect Ratio”**. სურათის ზომების ცვლილებისას იგი ჩართული უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სურათის პროპორცია დაირღვევა. იგი უზრუნველყოფს სურათის ზომების პროპორციულ ცვლილებას. ამდენად, სურათის ზომების ცვლილებისას თქვენ მხოლოდ ერთ პარამეტრს ცვლით (ამ შემთხვევაში სიმაღლეს), ხოლო მეორე - სიგანე თავისით შეიცვლება პროპორციულად.



19. გააქტიურეთ ბრძანება 



სურათი შეიცვლის ზომებს. ამის შემდეგ მიყევით პუნქტებს 8-15.